1-28 თებერვალი, 2025:

თორნიკე შაბათ–კვირას ავტოსამრეცხაოში მუშაობს. მას დიდად არ მოსწონს თავისი სამსახური, თუმცა საკუთარი შემოსავალი აქვს, რითიც ამაყობს. თორნიკეს საათში 10 ლარს უხდიან და ის შაბათ–კვირას 3–3 საათის განმავლობაში მუშაობს.

თორნიკეს დედა ჯიბის ფულის სახით კვირაში 10 ლარს აძლევს.

თორნიკეს ბებია და ბაბუა ქუთაისში ცხოვრობენ და თორნიკეს ყოველ თვე 50 ლარს უგზავნიან.

თორნიკე ყოველთვიურად ყიდულობს სატრანსპორტო აბონემენტს, რომელიც 10 ლარი ჯდება.

თორნიკე ყოველდღე სკოლაში სადილობს, რაც უფასოა. ამას გარდა, შაბათ–კვირას თორნიკე ყოველთვის სახლში ჭამს. თუმცა თორნიკე ხანდახან სახლში ვერ ასწრებს სადილობას და დადის პიცერიაში ან ყიდულობს სასუსნავებს, რაშიც კვირაში 10 ლარი ეხარჯება.

თორნიკეს სწავლის ფულს მშობლები იხდიან, თუმცა თორნიკეს ხანდახან უწევს საკანცელარიო წიგნების ან რვეულების შეძენა. ჩვეულებრივ თვეს, ამისთვის 20 ლარი ეხარჯება.

თორნიკეს ძალიან უყვარს კინოში სიარული და თვეში ერთხელ დადის. თუმცა თებერვალში 3 ახალი ფილმი გამოდის, რომლების გამოტოვებაც არ უნდა! ამასთან, ყველა მათგანზე ანანოს დაპატიჟებაც სურს. კინოს ერთი ბილეთი 10 ლარი ღირს.

თებერვალში ანანოს დაბადების დღეა. დიდი ხანია ანანოს „ბეჭდების მბრძანებლის“ მე–3 ტომის წაკითხვა უნდა, რომელიც 10 ლარი ღირს.

თორნიკეს ძალიან უნდა ცურვაზე სიარული, რომლის აბონემენტიც თვეში 80 ლარი ჯდება. თუმცა, გადაწყვიტა, რომ თებერვალში არ დაიწყოს ცურვაზე სიარული – ამ თვეში სხვა ხარჯები აქვს. ზაფხულისთვის ხომ არ გადადოს ჯანმრთელობაზე ზრუნვა?

რამდენიმე დღის წინ თორნიკემ ქუდი დაკარგა. ეს მისი ერთადერთი ქუდი იყო, რადგან ძალიან ხშირად კარგავს ქუდებს! არადა ახლა თებერვალია და ყოველდღე თოვს. ამასთან, თორნიკეს დაუპატარავდა ზამთრის ფეხსაცმელი. ახალი ქუდი 8, ხოლო ფეხსაცმელი – 100 ლარი ღირს.